

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №24
2020 წლის 30 დეკემბერი

ქ. ცაგერი

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დანართი №1 შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №26 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 31/12/2019 წ., სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.116.016471).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

ცაგერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი გუგავა

დანართი №1

თავი I

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

დასახელება	2020 წლის გეგმა	მ.შ. სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე	2021 წლის პროგნოზი	მ.შ. სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე
I. შემოსავლები	13748.30	6659.30	7089.00	7055.40	0.00	7055.40
გადასახადები	6622.70	0.00	6622.70	6650.40	0.00	6650.40
გრანტები	6816.50	6659.30	157.20	155.00	0.00	155.00
სხვა შემოსავლები	309.10	0.00	309.10	250.00	0.00	250.00
II. ხარჯები	6786.20	229.10	6557.10	6560.80	0.00	6560.80
შრომის ანაზღაურება	1547.40	0.00	1547.40	1672.40	0.00	1672.40
საქონელი და						



მომსახურება	1125.06	229.10	895.96	787.90	0.00	787.90
პროცენტი	32.00	0.00	32.00	38.00	0.00	38.00
სუბსიდიები	3537.59	0.00	3537.59	3557.20	0.00	3557.20
სოციალური უზრუნველყოფა	442.70	0.00	442.70	415.00	0.00	415.00
სხვა ხარჯები	101.45	0.00	101.45	90.30	0.00	90.30
III. საოპერაციო სალდო	6962.10	6430.20	531.90	494.60	0.00	494.60
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	8534.47	7330.72	1203.75	439.00	0.00	439.00
ზრდა (ა)	8570.27	7330.72	1239.55	479.00	0.00	479.00
კლება (ა)	35.80	0.00	35.80	40.00	0.00	40.00
V. მთლიანი სალდო	-1572.37	-900.52	-671.85	55.60	0.00	55.60
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-2085.15	-1884.86	-200.29	0.00	0.00	0.00
ზრდა (ფ)	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ვალუტა და დეპოზიტები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
კლება (ფ)	2085.15	1884.86	200.29	0.00	0.00	0.00
ვალუტა და დეპოზიტები	2085.15	1884.86	200.29	0.00	0.00	0.00
VII. ვალდებულებების ცვლილება	-55.60	0.00	-55.60	-55.60	0.00	-55.60
კლება (ვ)	55.60	0.00	55.60	55.60	0.00	55.60
საშინაო	55.60	0.00	55.60	55.60	0.00	55.60
სხვა კრედიტორული დავალიანებები	55.60	0.00	55.60	55.60	0.00	55.60
VIII. ბალანსი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

	2020 წლის ფაქტიური	2021 წლის გეგმა
--	--------------------	-----------------



დასახელება	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსულობები	9,499.2	5,165.6	4,333.6	7,095.4	7,095.4	0.0
შემოსავლები	9,391.8	5,058.2	4,333.6	7,055.4	7,055.4	0.0
არაფინანსური აქტივების კლება	107.4	107.4	0.0	40.0	40.0	0.0
გადასახდელები	15020.70	6756.30	8543.70	6650.40	6650.40	0.00
ხარჯები	6708.90	6647.70	61.20	6560.80	6560.80	0.00
არაფინანსური აქტივების ზრდა	8540.75	58.25	8482.50	479.00	479.00	0.00
ვალდებულებების კლება	27.80	27.80	0.00	55.60	55.60	0.00
ნაშთის ცვლილება	-5,521.5	-1,590.7	-4,210.1	445.0	445.0	0.0

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 7055,4 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

დასახელება	2020 წლის გეგმა			2021 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	8185.2	5058.2	3127.1	7055.4	7055.4	0.0
გადასახადები	515.5	515.5	0.0	6650.4	6650.4	0.0
გრანტები	7361.4	4234.3	3127.1	155.0	155.0	0.0
სხვა შემოსავლები	308.4	308.4	0.0	250.0	250.0	0.0

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვროს 6650.4 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:



დასახელება	2020 წლის ფაქტიური			2021 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	6,622.7	0.0	6,622.7	6,650.4	0.0	6,650.4
საშემოსავლო გადასახადი	0.0		0.0	0.0		0.0
დღგ	6171.6	0	6171.6	6250.4		6250.4
ქონების გადასახადი	451.1	0.0	451.1	400.0	0.0	400.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	393.8		393.8	370		370
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.0			0.0		0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1.8	0.0	1.8	0.0	0.0	0.0
საქართველოში რეგისტრირებულ თვითმფრინავებზე	0.0			0.0		
საქართველოში რეგისტრირებულ შეულმფრენებზე	0.0			0.0		
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	4.3	0.0	4.3	0.0	0.0	0.0
ფიზიკურ პირებიდან	3.1		3.1	0.0		
იურიდიულ პირებიდან	1.2		1.2	0.0		0.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	51.2	0.0	51.2	30.0	0.0	30.0
ფიზიკურ პირებიდან	1.3		1.3	0.0		
იურიდიულ პირებიდან	49.9		49.9	30.0		30.0

მუხლი 5. გრანტები

	2020 წლის ფაქტიური		2021 წლის გეგმა	
	მათ შორის		მათ შორის	



დასახელება	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	6,752.3	6,594.3	158.0	155.0	0.0	155.0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0.0			0.0		0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	6,752.3	6,594.3	158.0	155.0	0.0	155.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1,442.4	1,284.4	158.0	155.0	0.0	155.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	0.0		0.0	0.0	0.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	744.5	586.5	158.0	155.0	0.0	155.0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	697.9	697.9	0.0	0.0	0.0	
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	5,309.9	5,309.9	0.0	0.0	0.0	0.0
რეგიონების ფონდის	4,094.9	4,094.9		0.0	0.0	
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები	595.0	595.0		0.0	0.0	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	620	620		0.0	0.0	

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

დასახელება	2020 წლის ფაქტიური			2021 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	309.1	0.0	309.1	250.0	0.0	250.0
შემოსავლები საკუთრებიდან	114.9	0.0	114.9	120.0	0.0	120.0



პროცენტები	1.0		1.0	0.0		0.0
რენტა	113.9	0.0	113.9	120.0	0.0	120.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	47.1		47.1	70.0		70.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	66.8		66.8	50.0		50.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	33.9	0.0	33.9	30.0	0.0	30.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	9.6	0.0	9.6	10.0	0.0	10.0
სანებართვო მოსაკრებელი	0.3		0.3	2.0		2.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.0		0.0	2.0		2.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	9.3		9.3	6.0		6.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	24.3	0.0	24.3	20.0	0.0	20.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	24.3		24.3	20.0		20.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	12.7		12.7	20.0		20.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0.00	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	147.6		147.6	80.0		80.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 6560,5 ათასი ლარით. მათ შორის:

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
	სულ	საბიუჯეტო სახსრები	სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	სულ	საბიუჯეტო სახსრები	სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი
ხარჯები	6473.10	6473.10	0.00	6560.80	6560.80	0.00
შრომის ანაზღაურება	1504.20	1504.20	0.00	1672.40	1672.40	0.00
საქონელი და მომსახურება	1236.50	1236.50	0.00	787.90	787.90	0.00
პროცენტი	27.80	27.80	0.00	38.00	38.00	0.00
სუბსიდიები	3257.30	3257.30	0.00	3557.20	3557.20	0.00



სოციალური უზრუნველყოფა	356.80	356.80	0.00	415.00	415.00	0.00
სხვა ხარჯები	90.30	90.30	0.00	90.30	90.30	0.00

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 439 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა 479 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 40,0 ათასი ლარით:

პროგ. კოდი		2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	7,2	36,3	0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	7,2	36,3	0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6 564,7	7 305,1	479
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1 448,2	3 184,5	40
02 02	წყლის სისტემების განვითარება	554,5	104,0	89
02 03	გარე განათება	48,2	78,0	-
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2 174,6	1 180,4	50
02 06	რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება	-	792,0	150
02 07	სოფლის პროგრამა	1 998,9	1 380,2	0
02 10	დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება	340,3	586,0	150
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	212,7	279,5	-
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	-	2,2	-
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	212,7	277,3	-
04 00	განათლება	1,7	368,2	-
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	1,7	12,1	-
04 05	საჯარო სკოლების ხელშეწყობა	-	356,1	-
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3,9	1 088,1	-
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	3,9	1 031,5	-
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	-	56,6	-



06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	-	426,4	-
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	-	426,4	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა, ჯამი	6 790,1	9 503,5	479

არაფინანსური აქტივების კლება სახეების მიხედვით	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება, ჯამი	203,4	35,7	40
ძირითადი აქტივები	79,5	35,7	40
არაწარმოებული აქტივები	123,9	0	40

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია
 ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივები ფუნქციონალურ ჭრილში განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 460,0	2 553,9	2542.2
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 358,3	2 493,7	2448.6
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 358,3	2 464,9	2448.6
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	28,8	0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	101,7	60,2	93.6
7.2	თავდაცვა	74,5	74,7	65,7
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	74,5	74,7	65,7
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	1 723,9	3 489,5	110
7.4.5	ტრანსპორტი	1 723,9	3 489,5	110
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1 723,9	3 489,5	110
7.5	გარემოს დაცვა	853,5	895,7	425,8
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	853,5	895,7	452.8
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	5 526,9	5 269,4	0



7.6 1	ბინათმშენებლობა	-	600,0	-
-------	-----------------	---	-------	---

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვროს 623.1ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო 55.6 ათასი ლარით:

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	7 873,8	7 034,7	494.6
მთლიანი სალდო	1 287,0	- 2 387,8	55.6

მუხლი 11. ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 0 ლარით. მათ შორის:

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	1,287.0	- 2,425.1	-
ზრდა	1,287.0	-	-
ვალუტა და დეპოზიტი	1,287.0	-	-
კლება	-	2,425.1	-
ვალუტა და დეპოზიტი	-	2,425.1	-

მუხლი 12. ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრის 56.0 ათასი ლარით. მათ შორის:

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
ვალდებულებების ცვლილება	-	- 37.3	56
კლება	-	-	-
საშინაო	-	-	56
სესხები	-	37.3	56

ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 93.6 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2015 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის სასახეო ვალდებულებები სავარაუდოდ შეადგენს 305794



თავი II

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 945,1 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	945.1
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	40
02 01 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა(გზები და ხიდები)	40
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	116
02 02 01	წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	40
02 02 02	სანიაღვრე არხების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	37
02 02 03	საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაციის ღონისძიებები	39
02 03	გარე განათება	209,1
02 03 01	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	140
02 03 02	ა(ა)იპ „კომუნალური მომსახურება“	69,1
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	50
02 05 01	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები(ფასადები და სკვერები)	50
02 05 04	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია	0
02 06	რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება	150
02 07	სოფლის პროგრამა	0
02 09	მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება	70
02 10	დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება	150
		300



02 12	ა(ა)იპ „ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარების და ხელშეწყობის ცენტრი	
-------	---	--

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01		40
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის , არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზები შეადგენს 512,5კმ-ს.მ/შორის არის როგორც მყარსაფარიანი, ისე ხრემოვანი და გრუნტოვანი.საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე</p> <p>არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრებიუმეტესწილადხმარდებაგზებისმიმდინარეშეკეთებას.სარეაბილიტაციოსამუშაოები,სარეაბილიტაციო გზების შერჩევა და პრიორიტეტიზაცია ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მხედველობაში მიიღება სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი ღონისძიებები.გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება;</p> <p>გზების მოვლა-შენახვის და მიმდინარე შეკეთების ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა- რეაბილიტაციას (მათ შორის, ე.წ. ორმული შეკეთება), ასევე, არასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარისმოსწორებასდამოხრეშვა-მოშანდაკებას.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალური შეკეთება ხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და დაფინანსების სხვადასხვა წყაროებიდან გამოყოფილი რესურსებით.</p> <p>ამ პროგრამაში ასახვას ჰპოვებს მ/წელს დაწყებული და გარდამავალი პროექტები, კერძოდ</p> <ul style="list-style-type: none"> • ქ.ცაგერის და გვესოს დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია • სოფ.ცხუტელში ცენტრალური გზიდან საჯარო სკოლის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია <p>სოფ.სპათგორის ცენტრის, სკოლის და ლემკედის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია</p>		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის საბოლოო მიზანია ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მუნიციპალური გზის (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან და მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი გზების მშენებლობა; არსებული გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;</p> <p>პროგრამის საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; გზების ექსპლუატაციის გაზრდილი პერიოდი; ადგილობრივი გზების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა(გზები და ხიდები)	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		40
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური. არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა- რეაბილიტაციას (მათ შორის, ე.წ. ორმული შეკეთებას); არასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას.</p> <p>სამუშაოები განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა</p>		



ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; შედეგი: მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; გზების ექსპლუატაციის გაზრდილი პერიოდი
---	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების კაპიტალური შეკეთება	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა ფონდებიდან დაფინანსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალურიშეკეთების თანადაფინანსებას წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;		

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	02 02		116
	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის , არქიტექტურისა დაზედამხედველობის სამსახური		
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური; საფინანსო სამსახური;		
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება წყლის სისტემების განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან:</p> <ul style="list-style-type: none"> - წყლის სისტემების რეაბილიტაცია; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია; <p>წყლის სისტემების რეაბილიტაციის ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალის და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით. წყლის სისტემების ექსპლოატაციის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ცაგერის მუნიციპალიტეტის 57 სოფელში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში</p>		



	გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ანაზღაურდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული წყლის ტუმბოების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯები
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდება მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე; წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში.

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		40
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური; საფინანსო სამსახური;		
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება წყლის სისტემების განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან:</p> <ul style="list-style-type: none"> - წყლის სისტემების რეაბილიტაცია; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია; <p>წყლის სისტემების რეაბილიტაციის ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალის და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით. წყლის სისტემების ექსპლოატაციის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ცაგერის მუნიციპალიტეტის 57 სოფელში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას.</p>		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდება მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე; წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების სუბსიდია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		15
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საფინანსო სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის მოხმარებული წყლის გადასახადის სუბსიდირებას .		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის შეღავათის გაწევა		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სანიაღვრე არხების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		37
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური. არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ცაგერის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობის და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. 2020 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, კეთილმოწყობის ღონისძიებების ქვეპროგრამიდან შესაძლებელია განხორციელდეს სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები. ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია სტიქიის პრევენცია; მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უსაფრთხოების გაზრდა; გზების და სხვა ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის ხანგრძლივობის გაზრდა;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საკანალიზაციო სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 03		39
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური. არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო ქსელის მშენებლობა და კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში, ასევე ხორციელდება ახალი ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით. ქვეპროგრამისათვის ასევე გამოყოფილია თანხები მუნიციპალიტეტის ადგილობრივი შემოსავლებიდან.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის დასახლებაში საკანალიზაციო ქსელის მოწყობა ქსელის გამართულ და უწყვეტ რეჟიმში მუშაობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	დაფინანსება ათას ლარში
	02 03		209,1
პროგრამის განმახორციელებელი	საფინანსო სამსახური; ა(ა)იპ - ცაგერის კომუნალური მომსახურება		
	დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ცაგერში და 58 სოფელში. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 3318 სანათი წერტილის მოვლა-პატრონობა 132 კმ გრძივი მეტრი საკაბელო ხაზით. გარე განათების ქსელის ექსპლუატაციის პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან: - გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება; - გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა; გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურების		



პროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამათვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული განათების წერტილების 3318 სანათი წერტილის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურებას.</p> <p>გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბომბების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>ღამის საათებში ცაგერის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა;</p> <p>გარე განათების ქსელის ფუნქციონირების მიზნით მუნიციპალურ ბალანსზე არსებული განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება;</p> <p>მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება;</p> <p>პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების დროული აღმოფხვრა;</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 02 03 01	გარე განათების ქსელი მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება	დაფინანსება ათას ლარში 140
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საფინანსო სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამათვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული განათების წერტილების (3318 ერთეული) მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურებას.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების ქსელის ფუნქციონირების მიზნით მუნიციპალურ ბალანსზე არსებული განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება;		
	ღამის საათებში ცაგერის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 02 03 02	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათას ლარში 69,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - კომუნალური მომსახურება		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ცაგერის და 58 სოფელში. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 3318 სანათი წერტილი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბომბების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას. 		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	02 05		50
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	2021 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება. ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სკვერებისა და რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობა: ქვეპროგრამის ფარგლებში რეაბილიტირებული სკვერებით შეიქმნება კომფორტული და ჯანსაღი გარემო მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისათვის.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 02 05	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები(ფასადები და სკვერები)	დაფინანსება ათას ლარში
	02 05 01		50
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	კეთილმოწყობის ღონისძიებები (სკვერები და ფასადები)		
ქვეპროგრამის აღწერა	2021 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება. ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სკვერებისა და რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობა: ქვეპროგრამის ფარგლებში რეაბილიტირებული სკვერებით შეიქმნება კომფორტული და ჯანსაღი გარემო მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისათვის.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 05 04		0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	2021 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება. ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.		



ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია სტიქიის პრევენცია; მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უსაფრთხოების გაზრდა; გზების და სხვა ინფრასტრუქტურის ესპლუატაციის ხანგრძლივობის გაზრდა;

პროგრამის დასახელება	კოდი	რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	02 06		150

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საფინანსო სამსახური
---------------------------------------	----------------------------

პროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.</p> <p>პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.</p>
------------------	--

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ საშენებლო ნორმებს (სტანდერტებს)
--	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	02 07		0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური
--	---

	<p>სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ცაგერის მუნიციპალიტეტს გამოეყოფა სპეციალური ტრანსფერი, რომლის გაანგარიშებაც ხდება შემდეგი პრინციპით:</p> <p>ა) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10 000 ლარი;</p> <p>ბ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 12 000 ლარი;</p> <p>გ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 16000 ლარი;</p> <p>დ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 20 000 ლარი.</p> <p>დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის შერჩევა ხორციელდება შემდეგი წესით:</p> <p>ა) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს,</p>
--	--



ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროექტი შეირჩევა დასახლების საერთო კრებაზე, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი;</p> <p>ბ) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს 501-დან 1000 ამომრჩევლს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 100 ამომრჩეველმა;</p> <p>გ) დასახლებას, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა აღემატება 1000 ამომრჩევლს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 200 ამომრჩეველმა.</p> <p>თანხის გამოყოფასთან და ხარჯვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები და კრიტერიუმები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის #2752 დადგენილებით.</p>
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მოსახლეობის აქტიურობის გაზრდა, მოსახლეობის აზრის გათვალისწინება საკუთარი დასახლების (სოფლის) პრობლემების გადაწყვეტაში;</p> <p>იმ მცირე პროექტების დაფინანსება, რომელთა პრიორიტეტულობასაც განსაზღვრავს კონკრეტული დასახლების (სოფლის) მოსახლეობის უმრავლესობა</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება	დაფინანსება ათას ლარში
	02 09		70
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>2021 წლის განმავლობაში კვლავ აქტუალური რჩება შიდარაიონული ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. საწვავისა და მარაგ ნაწილების სულ უფრო მზარდი ფასები ასახვას პოულობს მგზავრობის საფასურზე. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდარაიონული ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის სუბსიდირების გზით, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვაც გააჩნია. ამ მიზნით 2021 წელსაც განხორციელდება ცაგერი-ტვიშის , ცაგერ-ლაილაში-თაბორის, ცაგერი-ღვირიშის, ცაგერი-ზოგიში, ცაგერი-ოყურეში, ცაგერი-ქულბაქი, ცაგერი-მახაში, ცაგერი-დებვირი, ცაგერი-უსახელო და ცაგერი-ადვის მიმართულებებზე მოძრავი საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის საწვავის თანხის გამოყოფა და სუბსიდირების სახით გადაცემა. (გადაზიდვებს ახორციელებს შ.პ.ს. „საჭე-ცაგერი“) .ამავე პროგრამით ხორციელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებული პუნქტის შეუფერხებელი დაკავშირება რაიონულ ცენტრთან		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	02 10		150
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული საინვესტიციო ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება (5%),</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების შეუფერხებელი განსახორციელების უზრუნველყოფა		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“	დაფინანსება ათას ლარში
	02 12		300
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“		
